აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი 1

6 ოქტომბერი, 2005 წელი ქ. ბათუმი

სხდომას უძღვებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფაღავა

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თამაზ შარმანაშვილი, ქეთევან ჯიქია, გუგული დუაძე, არჩილ მიქელაძე, გია გარსევანიშვილი, ასლან ჩავლეიშვილი;

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი გურამ ჩალაგაშვილი, ცესკოს იურიდიული სამსახურის უფროსი სოსო თათარაშვილი, ცესკოს კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მერაბ ჭრელაშვილი; აჭარის ვტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები: პეტრე ზამბახიძე, კახა მიქელაძე, მალხაზ კალანდაძე; წარმომადგენელი აჭარის ტელევიზიიდან, ჟურნალისტები: გაზეთი "ბათუმელები"-დან, გაზეთი "ადჟარია"-დან; უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის სამსახურის უფროსები და აპარატის თანამშრომლები;

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა მობრძანებისათვის, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი და კომისიის წევრთა აზრის გათვალისწინებით, დღის წესრიგი წარდგენილი სახით დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 7;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი;

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის არჩევა;

2. უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევა;

3. უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის უფროსის დასანიშნად თანხმობის მიცემის შესახებ;

4. უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგის დამტკიცება;

5. სხვადასხვა

1. უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის არჩევა;

მოისმინეს:	საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ კომისიის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე წარადგინა თამაზ შარმანაშვილის კანდიდატურა, დამსწრე საზოგადოებას გააცნო მისი ბიოგრაფიული მონაცემები, ისაუბრა საარჩევნო სისტემაში მისი მოღვაწეობისა შესახებ და კენჭისყრაზე დააყენა წინადადება-თამაზ შარმანაშვილის კომისიის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე არჩევის შესახებ
კენჭისყრის შედეგი:	მომხრე 6; წინააღმდეგი 0; თავი შეიკავა კომისიის წევრმა-გუგული დუაძემ; კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი;
დაადგინეს:	დაევალოს იურიდიულ სამსახურს მოამზადოს კომისიის განკარგულება თამაზ შარმანაშვილის კომისიის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე არჩევის შესახებ;

2. უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევა;

მოისმინეს:	კომისიის თავმჯდომარემ ი. ფაღავამ კომისიის წევრებს კომისიის მდივნის თანამდებობაზე წარუდგინა არჩილ მიქელაძის კანდიდატურა, გააცნო მისი ბიოგრაფიული მონაცემები. მან აღნიშნა, რომ ბატონი არჩილი უმაღლეს საარჩევნო კომისიის შექმნის დღიდან მუშაობდა საერთო სამსახურის უფროსად, შემდეგ დაწინაურდა და დაინიშნა საპარლამენტო მდივნად უმაღლეს საბჭოში, უმაღლეს საარჩევნო კომისიის წევრად არჩევამდე კი დანიშნული იყო მოსამართლედ, არის უაღრესად პატიოსანი, პასუხისმგებლიანი, თავისი საქმის მცოდნე და საქმისადმი ერთგული, დიდი პასუხისმგებლობის მქონე პიროვნება და ის ღირსეულად გაუძღვება მასზე დაკისრებულ საქმეს.
სიტყვით გამოვიდა:	საარჩევნო კომისიის წევრი, ქალბატონი გუგული დუაძე. მან განმარტა, რომ კომისიის 7 წევრიდან ორი ქალბატონია და სასურველი იქნებოდა, ერთ-ერთი მათგანი არჩეული ყოფილიყო მდივნად; ბატონმა ი. ფაღავამ განუმარტა, რომ დღემდე საარჩევნო კომისიის მდივნად ქალბატონი ქეთევან ჯიქია იყო არჩეული, ის

პირნათლად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას, მაგრამ ვითვალისწინებ ძველი კადრის ახალი სახით შეცვლას და კენჭისყრაზე დააყენა წინადადება არჩილ მიქელაძის კომისიის თავმჯდომარის მდივნის თანამდებობაზე არჩევის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;
თავი შეიკავა კომისიის 1 წევრმა-გუგული დუაძემ;

კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი;

დაადგინეს: დაევალოს იურიდიულ სამსახურს მოამზადოს კომისიის განკარგულება არჩილ მიქელაძის კომისიის მდივნის თანამდებობაზე არჩევის შესახებ;

3. უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის უფროსის დასანიშნად თანხმობის მიცემის შესახებ;

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ განუმარტა დამსწრე საზოგადოებას, რომ უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის უფროსი, გ. კუჭაშვილი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე სხვა სამსახურში გადასვლასთან დაკავშირებით და საარჩევნო კომისიის აპარატის უფროსის ვაკანტურ ადგილზე წარადგინა საარჩევნო კომისიის იურიდიული სამსახურის უფროსის, მუხრან კაკაბაძის კანდიდატურა. მან ისაუბრა მუხრან კაკაბაძის საქმიანობის შესახებ, აღნიშნა, რომ მ. კაკაბაძე 2004 წლის მაისიდან დღემდე მუშაობს საარჩევნო კომისიაში სხვადასხვა თანამდებობებზე, არის ზრდილი, კეთილსინდისიერი, თავისი საქმის ერგული, კარგი ავტორიტეტით სარგებლობს კოლეგებს შორის. ბატონმა ფაღავამ უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის მე-6-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება აპარატის უფროსის თანამდებობაზე მუხრან კაკაბაძის დასანიშნად კომისიის წევრთა თანხმობის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 7;
წინააღმდეგი 0
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი;

დაადგინეს: დაევალოს იურიდიულ სამსახურს მოამზადოს კომისიის განკარგულება აპარატის უფროსის თანამდებობაზე მუხრან კაკაბაძის დასანიშნად თანხმობის მიცემის შესახებ, თავმჯდომარის განკარგულება მუხრან კაკაბაძის აპარატის უფროსის თანამდებობაზე დასანიშნად;

4. უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგის დამტკიცება;

მოისმინეს:	საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ განმარტება გააკეთა დღის წესრიგით დამტკიცებულ მე-4 საკითხთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანულ კანონში "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" შეტანილი ცვლილებების შესაბამისად დაკომპლექტდა ცენტრალური საარჩევნო კომისია, ცვლილებები შევიდა ასევე "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში, რის მიხედვითაც დაკომპლექტდა უმაღლესი საარჩევნო კომისია. "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უსკოს საშტატო განრიგს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს უსკო, ხოლო ხარჯთაღრიცხვას უსკოს წარდგინებით უმაღლესი საბჭო. აქედან გამომდინარე, კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ.
კენჭისყრის შედეგი:	მომხრე 7; წინააღმდეგი 0 კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი;
დაადგინეს:	დაევალოს იურიდიულ სამსახურს მოამზადოს კომისიის დადგენილება საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ.

5. სხვადასხვა

მოისმინეს:	კომისიის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა კომისიის წევრების კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების გარდა, თითოეული წევრის აპარატის სამსახურებზე მიმაგრებისა სამსახურების საქმიანობის კონტროლის მიზნით. თითოეულ სამსახურს კომისიის მიმაგრებული წევრის წინაშე მეტი პასუხისმგებლობა ექნება, რაც ბევრად უფრო მობილურს გახდის აპარატის მუშაობას, აღნიშნა გამომსვლელმა;
გადაწყვიტეს:	მიემაგროს საერთო სამსახურს, ქ-ნი გუგული დუაძე; საორგანიზაციო სამსახურს-ქ-ნი ქეთევან ჯიქია, ბ-ნი ასლან ჩავლეიშვილი; იურიდიულ სამსახურს-ბ-ნი თამაზ შარმანაშვილი, ბ-ნი არჩილ მიქელაძე; ეკონომიურ სამსახურს-ბ-ნი გია გარსევანიშვილი;
სხვა საკითხთან	დაკავშირებით სიტყვით გამოვიდა კომისიის წევრი ასლან ჩავლეიშვილი. მან აღნიშნა, რომ ეს ესაა შედგა პარლამენტის შუალედური არჩევნები ბათუში, ქობულეთის რაიონსა და შუახევის რაიონში, რამაც დაგვანახა არჩევნებთან დაკეავშირებული ნაკლოვანი მხარე-კერძოდ სიები, ისევ და ისევ დასახვეწია, ვნახეთ როგორც ჩვენ, ასევე გამოთქვა უკმაყოფილება ამომრჩეველმა ტელევიზიითა თუ მასობრივი

ინფორმაციის სხვა საშუალებებით, ის აუცილებლად დასახვეწია, ხალხი მასიურად არ იყო სიებში.

მოისმინეს: აღნიშნულთან დაკავშირებით სიტყვით გამოვიდა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე თ. შარმანაშვილი. მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ "საარჩევნო კოდექსის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, არჩევნებში ხმის უფლებას მიიღებს მხოლოდ ის ამომრჩეველი, ვინაც წინასწარ გაიარა რეგისტრაცია, ვინაიდან მხოლოდ რეგისტრირებულ ამომრჩეველთა სია იგზავნება ცსკოს კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურში ერთიანი სიების დასაბეჭდად, ამდენად, ვინც ვერ ან არ გაიარა რეგისტრაცია, ის ლოგიკურია, ვერც იპოვიდა თავის თავს სიაში. სიები ყოველთვის შედგება რეგისტრაციის მიხედვით.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადდა.

კომისიის თავმჯდომარე	ი. ფაღავა
კომისიის მდივანი	ა. მიქელაძე